ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11537/01
25/11/2019

11537-01-2-201911250930

შპს „ქიუ ემ სის“
მის: *ქ. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის N27*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 12 ნოემბრის №16193 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის (სილაურის) მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო განთავსდება შპს „ქიუ ემ სი“-სა და შპს „ნატა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ნატას“ კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის სამთო მინაკუთვნში. თუმცა, თქვენს მიერ (შპს „ქიუ ემ სი“) წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია შპს „ნატა 2000“-სსა და შპს „ვესტ თრაქს“ შორის. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს განთავსების ტერიტორიის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 620 მეტრში. განცხადებაში წარმოდგენილი განსხვავებული მონაცემებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- დასაზუსტებელია ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების (მათ შორის სალექარში წარმოქმნილი ნარჩენების) მართვის შესახებ;
- განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამდიდრების პროცესის განსახორციელებლად დაპროექტებული საწარმოს ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულია დანართ N1-ში. თუმცა, განცხადებას აღნიშნული დანართი არ ერთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე უზრუნველყოთ სამინისტროში განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, რის შემდგომაც,

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე